საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-913

23/09/2019

ქ. თბილისი

„შპს „გზამშენი 5“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №1156 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „გზამშენი 5“-ის დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2007 წლის 24 ივლისის №21 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „გზამშენი 5“-ის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№21; 24.07.2007) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (№00085; 16.08.2007).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფინანსური პრობლემების გამო კომპანია ვეღარ აგრძელებს საქმიანობას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გზამშენი 5“-ის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გზამშენი 5“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №1156 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გზამშენი 5“-ის ასფალტის წარმოებაზე 2007 წლის 24 ივლისს გაცემული №21 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გზამშენი 5“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გზამშენი 5“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი